

მარინა ვილკოვა

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

ე. სეტონ-თომპსონის მოთხრობის «შინაური მტრედის არნოს ამბის» შედარებითი ანალიზის თავისებურებები და მ. ჩუკოვსკის მიერ შესრულებული მისი რუსული თარგმანი

სტატია განიხილავს ე. სეტონ-თომპსონის მოთხრობის სტრუქტურულ ლექსიკურ, სტილისტურ თავისებურებებს და ეროვნულ ანგლო-კანადურ თავისებურებებს. სტატიაში ასევე წარმოდგენილია მოთხრობის რუსული თარგმანი, რომელიც მ.კ. ჩუკოვსკის მიერაა შესრულებული და გაანალიზებულია მის მიერ თარგმნისას გამოყენებული სტრატეგიები.

საკვანძო სიტყვები: მოთხრობები ცხოველების შესახებ, შედარებითი ანალიზი, თარგმნის ტექნიკა, ტრანსფორმაცია.

შედარებითი ანალიზის მეთოდი მნიშვნელოვანია ორიგინალურ და სათარგმნ ნაციონალურ ენას შორის სტრუქტურების დანახვისა და ამ სტრუქტურების საშუალებით შინაარსის გამოხატვის უნარის განვითარებისათვის. ორიგინალური და დარგობრივი ტექსტის თარგმნის შედარებითი ანალიზი განსხვავ-

ებული ფენომენებია. ამ სფეროში მომუშავე თითქმის ყველა მეცნიერი თავის სტილს გვთავაზობს. მაგრამ მხოლოდ ამ მეთოდების ურთიერთკავშირი დაგვეზარება, დეტალურად გავანალიზოთ სამეცნიერო ტექსტის თარგმანი.

თარგმანი, როგორც ტექსტური შემოქმედება, ხასიათდება მისი მეორადი

ხასიათით, რაც მის არსს განსაზღვრავს. თარგმნა, როგორც მეორადი შემოქმედება, მთარგმნელს აყენებს ლიტერატურული პრობლემების წინაშე, ზრდის მის პასუხისმგებლობას ტექსტის ერთი კულტურული გარემოდან მეორეში გადმოტანისას. სწორედ ამიტომ ჩვენს წინაშეა ისეთი მეთოდის აღმოჩენის პრობლემა, რომელიც უპასუხებს ტრანსნაციონალურ კულტურულ პარადიგმას, რომელიც ტექსტის მიერ საზღვრის გადაკვეთას გულისხმობს. მთარგმნელი უნდა იცნობდეს თარგმნის შექმნის ისტორიულ პირობებს, იმისთვის, რომ ცხადი გახდეს მის წინაშე დასმული ამოცანები და შეძლოს აღმოაჩინოს მეთოდისა და ინდივიდუალური შემოქმედების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, რათა თარგმანის ხარისხის შეფასება და შეცდომების განსაზღვრა მოხდეს» (გაჩეჩილაძე, 1965, 246).

პირველადი ტექსტისა და მისი თარგმანის შედარებითი ანალიზის მიზანი განსაზღვრავს ნათარგმნი ტექსტის ხარისხის შესაბამისობას ორიგინალურ

ტექსტთან. მაგრამ კითხვა ფუნქციური შესაბამისობის „საწყისი წერტილის“ შესახებ, რომელიც, შესაძლოა, იყოს როგორც ავტორი, ისევე რეციპიენტი, კვლავ განხილვის საგანია: თარგმანმა შეასრულა ორიგინალური ფუნქცია ისე, როგორც ავტორის მიერ იყო ჩაფიქრებული, თუ ის ასე მკითხველის მიერ იქნა აღქმული? (რებრი, 2012, 239).

ვ.ვ. ვინოგრადოვი ავტორს აღიქვამს, როგორც ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოების, ისე სამეცნიერო ლიტერატურის მთავარ და მრავალმნიშვნელოვან სტილისტური ხასიათის შემქმნელად. ავტორის იმიჯი პირველ რიგში მის სტილისტურ ინდივიდუალიზმში ჩნდება, მის ენობრივ-მხატვრულ გამომსახველობაში - იმ განსაზღვრული რიტორიკული ინოვაციების საშუალებით, რომლებიც ტექსტშია ჩადებული.

თარგმანთან დაკავშირებული კვლევისას არსებული დაპირისპირება ავტორსა და ორიგინალური ტექსტის მკითხველს შორის ასახავს მთარგმნელსა და მკითხველს შორის კორელაციას, რადგან

მთარგმნელი არ არის ორიგინალური შემოქმედებითი სამუშაოს მხოლოდ მკითხველი და განმმარტებელი, მაგრამ ასევე - ნათარგმნი ტექსტის ავტორიც. კითხვა არის კონგენიალური შემოქმედება. სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, ორიგინალური ტექსტის თარგმანში ავტორის აზრი ჩანს, მაგრამ ისეა გადმოცემული და არეკლილი, როგორც ის მთარგმნელმა განიცადა.

მთარგმნელის, როგორც შემოქმედის, განსხვავებულობას ქნის ავტორის პოეტიკის „კრეოლიზაცია“ საკუთარი პოეტიკით. ასე რომ ნათარგმნი ტექსტში ავტორის სტრატეგიასთან ერთად, ნებსით თუ უნებლიედ მთარგმნელის სტრატეგიაც აისახება.

ნათარგმნი ლიტერატურის და შედარებითი ლიტერატურული კვლევების ინტენსიურმა განვითარებამ XIX-XX საუკუნეებში დიდი ინტერესი გამოიწვია თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემებისადმი.

რიგი უცხოური თუ უკრაინული პუბლიკაციებია მიძღვნილი ლიტერატურული ტექსტის კომპლექსური ლინგვო-

არტისტული ანალიზისადმი (გაჩეჩილაძე, კაშკინი, კოპტილოვი, პოპოვიჩი, ალექსევი, გუროვა, მასლენიკოვა, ნეკრიაჩი, სკაიგარევსკა). მაგრამ საკითხის კომპლექსურობა საჭიროებს ბევრი რელევანტური მახასიათებლის გათვალისწინებას, რომლებიც განსაზღვრავენ შემოქმედების ღირებულებას და თარგმანის მთლიანობას. ამიტომ საკითხი კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას.

შედარებითი ანალიზი გვადლევს შანსს, მოვიძიოთ ნათელი ანალოგი ორიგინალი თუ ნათარგმნი ტექსტის ლინგვო-არტისტული ანალიზისა, რაც გამოიხატება იერარქიის მეთოდოლოგიურ პრინციპებში, საფეხურებად დაყოფაში, კოორდინაციაში, ინტერკორელაციაში, ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგავლენებში.

თარგმანში ტექსტზე ორიენტირებული შემოქმედებითი კონცეფციის კომპლექსურობის გააზრებისას შესაძლოა ვინმემ ისაუბროს მის ერთ-ერთ თავისებურებაზე-მთლიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია მთარგმნელის უნართან, შეაერთოს მრავალი განსხვავებული ტექსტობრივი

„ველის“ ლიტერატურული მახასიათებელი ორგანული გზით. მკვლევარი გ. გაჩეჩილაძე ლიტერატურულ მუშაობას წარმოადგენს, როგორც ქმნილების გაერთიანებას. თარგმანის წარმატების საიდუმლო არის მისი უნარი, მონახოს ტექსტის „სტილისტური გასაღები“.

ვ. კოპტილოვი ორგანულ კავშირს განმარტავს, როგორც სალაპარაკო და ლიტერატურული ენის ნაზავს. თარგმნის ობიექტური ანალიზი მიიღწევა მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის ორ მთავარი ნაწილის- შინაარსობრივი მხარის და გადმოცემის მანერის მიმართ თანაბარი დამოკიდებულებით. ეს ორი რამ მკვლევარს საშუალებას აძლევს, მხატვრული თარგმანი მისი კლასიკური დეფინიციის ჩარჩოებში შეასრულოს, რომლის დროსაც თარგმნილი ტექსტი ინარჩუნებს ორიგინალის იდეურ-შინაარსობრივ სტრუქტურას და წარმოადგენს მის სემანტიკურ-სტილისტურ პარალელს.

ვ. კოპტილოვი ხაზს უსვამს შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის აუცილებ-

ლობას, იმ საზღვრებს, რომლებშიც შესაძლოა შეიცვალოს ფორმა შინაარსის დამახინჯების გარეშე (კოპტილოვი, 1972, 91). ამ აზრს მხარს უჭერს მ. ნოვიკოვა, რომლის აზრითაც: „აუცილებელია გარკვეულწილად შეცვალო ორიგინალის შინაარსი: ავტორი თავად ცვლის და ამრავალფეროვნებს მას, ჩადის სიღრმეში, მის საფუძველში“ (ნოვიკოვა, 1982, 42). ასე რომ, ორიგინალური ტექსტის ენობრივ დონეზე შეცვლის კონცეფციები აუცილებელია მისი შინაარსის შენარჩუნებისთვის და იმისთვის, რომ არ დაირღვეს შემოქმედებითი კავშირი ავტორსა და მთარგმნელს შორის.

დღეს კანადური ლიტერატურა არის თანამედროვე მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანი. მათი მთავარი ამოცანაა გამოიკვლიონ ნაციონალური წყაროები და კანადელი მწერლების ორიგინალური ლიტერატურული ნაშრომების ფორმირებისა და განვითარების გზები. ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც კანადურ ლიტერატურას იკვლევს, ყურადღებას აქცევს ისეთ

ჟანრებს, რომლებიც კანადურ ლიტერატურას განასხვავებს სხვა ქვეყნების ნაწარმოებებისაგან. პირველ რიგში, ეს ეხება ცხოველების შესახებ მოთხრობებს, რომლებიც ყველაზე პოპულარულ ჟანრად იქცა კანადაში XIX საუკუნის ბოლოს. კანადური ლიტერატურის მკვლევრები (ოვჩარენკო, გოკიშევა, ნიუ, მაკლულიჩი, ეტვუდი) დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მოთხრობების წყარო არის კანადური ლიტერატურა, რომელიც ასახავს მისი განვითარების მნიშვნელოვან მომენტებს (სუხენკო, 2007, გვ. 7). კანადელი მკვლევრის გ. ვუდკოკის მიხედვით, არსებობს რამდენიმე თვალსაჩინო სხვაობა ინგლისური, ამერიკული და კანადური წარმომავლობის ცხოველების შესახებ მოთხრობებში. ინგლისურ მოთხრობებში მთავარი გმირი არის ადამიანი, რომელიც ცხოველის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც გააჩნია ადამიანისთვის დამახასიათებელი ჩვევები და საქციელი. ამერიკულ მოთხრობაში ადამიანი პირიქით - უპირისპირდება ცხოველებს, რომლებიც იმ ცივილიზაციის სიმბოლოები არიან, რომლის მსხვერპლნიც

ხდებიან. კანადურ მოთხრობებში ცხოველები, ისევე როგორც ადამიანები, წარმოდგენილნი არიან, როგორც მსხვერპლნი უცხო მიწისა, მათი საცხოვრებელისა. კანადელი ცხოველების შესახებ მოთხრობების მწერლებს შორის აღსანიშნავია ერნესტ სეტონ-თომპსონი, აგრეთვე ჩ.დ. რობერტსი.

ანგლო-კანადური ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური არის ბუნების თემა, როგორც ჩრდილო ამერიკის რეგიონის რეალობის განუყოფელი ნაწილი (ჰამილი, 2007, გვ. 4). კანადის შესწავლის პირველივე მცდელობებიდან გაჩნდა ჩრდილოეთის უცნობი სამყაროს შესწავლის საჭიროება, რომელიც ქმნიდა შიშისა და ბუნებისადმი უნდობელ დამოკიდებულებას. XIX საუკუნის ბოლოსათვის ის გახდა დეტალური შესწავლის საგანი. მკვლევარი ბ. მათიუსი ერთმანეთისგან განასხვავებს კანადური მოთხრობის კომპრესიას, ემოციურ კმაყოფილებას, თემის ერთიანობას, პერსონაჟების გაორებას, ლოგიკურ თხრობას, წარმოსახვით ელემენტს - რომლებიც იძლევა ფუნქციონირების

იმპულსს და დაკავშირებულია განსაკუთრებულ პრობლემებსა და აქტუალობასთან (კოროტიჩი, 1982, გვ. 284).

ბუნების შესახებ თხრობა გვიჩვენებს ევროპული, ინდური და ამერიკული მახასიათებლების გარკვეულ ნაზავს, რომლებიც წარმოაჩენენ კანადური ეროვნული მსოფლმხედველობის უნიკალურობას და გვიჩვენებს კანადურ სოციო-კულტურულ სივრცეში მე-19 საუკუნის ბოლოს არსებული ნაციონალური ხასიათის ნიშნებს მხატვრული ხერხებით (კოროტიჩი, 1980, გვ. 217).

ბუნების შესახებ ანგლო-კანადურმა მოთხრობებმა მსოფლიო ლიტერატურას გააცნო კანადური მსოფლმხედველობა და, ამავე დროს, კანადის, როგორც ჩრდილოეთის განსაკუთრებული ქვეყნის ბუნებისა და ლანდშაფტის მითიური სურათები. მომდევნო ნაწარმოებებმა კი წარმოაჩინეს ბუნებისა და ცივილიზაციის კოლიზიის პრობლემები: «ქალაქური ამბები» (ბარი, ალენი, თომპსონი), ნ. დუნკანისა და ს. ლიკოკის მოთხრობები,

ფერმის შესახებ მოთხრობები ლირიკული დასაწყისით (რ. ნისტერი), მ. ლოურის ფსიქოლოგიური მოთხრობები, დ. პასეის მემუარები, ე. ვილსონის ფემინისტური ჩანაწერები, მ. რიხლერის იუმორისტული მოთხრობები, პ. პეიჯის სიმბოლისტური სკეტჩები, ე. ბუკლერის სენტიმენტალური საზღვაო მოთხრობები. ამ ნაწარმოებებს აერთიანებთ ადამიანისა და „შეუცნობელი“ ბუნების ურთიერთობის პრობლემა, რომელიც ჩანს კანადის მკაცრი ბუნების ფონზე. ცხოველებისა და მცენარეების სამყარო გარკვეულწილად წარმოდგენილია ამ წიგნებში. ყველა ეს ლიტერატურული ფენომენი შექმნილია განსხვავებულ დროის მონაკვეთებში და დაკავშირებულია კანადური ლიტერატურის ერთ-ერთ თემასთან - ბუნებასთან. ის ინარჩუნებს სტაბილურობას და გამძლეობას კანადური ლიტერატურის განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში. თაობების განმავლობაში კანადელი მწერლები ცდილობდნენ, ეპოვათ გზები მოთხრობების ჟანრის სტრუქტურის შექმნისთვის. ეს პროცესი

კვლავ მიმდინარეობს და კანადური „მოთხრობა“ კვლავ იცვლება.

ერნესტ-სეტონ თომპსონი მე-19-20 საუკუნეების ცნობილი კანადიელი მწერალია. მას დაწერილი აქვს მოთხრობები ცხოველების შესახებ. წლების განმავლობაში ის ცდილობდა, ხალხისათვის შეეხსენებინა, რომ ბუნებასთან სიახლოვე ცხოვრებისეული ღირებულებების შეცნობის საშუალებაა. მისი წიგნებიდან ჩანს, რომ ცხოველები დაკავშირებული არიან ადამიანებისათვის უცნობ სამყაროსთან. სეტონ-თომპსონი ცხოველების შესახებ მოთხრობებს განასხვავებს ზღაპრებისაგან. ეს მოთხრობები უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ გარემოს ასახავს, რომელსაც ჩვენი ოთხფეხა და ფრთოსანი მეგობრები ქმნიან (საბავშვო ლიტერატურა, 1982, 239). თომპსონი გვაჩვენებს ბუნებრივი გარემოს თავისებურებებს და შემოქმედის თვალთ უყურებს სამყაროს. მის მოთხრობებში ბუნება წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და ხშირად ბუნება განსაზღვრავს თხრობის განვითარებასაც. თომპსონი ყველგან ხედავს ბუნების

სილამაზეს და ქედს უხრის ბუნების სიბრძნეს. სეტონ-თომპსონის მოთხრობებში გადმოცემულია ცხოვრების განსაზღვრული, კონკრეტული არსი. აქედან გამომდინარე, მწერალი შეიძლება მივიჩნიოთ ახალი რომანტიკული მიმდინარეობის წარმომადგენელად. მის მოთხრობებში ცხოველები ადამიანებთან დაახლოებული, პერსონიფიცირებული არსებები არიან - მათ უყვართ და სძულთ, იცინიან და ტირიან, ისევე, როგორც ადამიანები. ამავე დროს, ისინი ნამდვილი ცხოველები და ფრინველები არიან, რომელთაც აქვთ საიდუმლო და ავტორს სურს, გაიგოს მათი საიდუმლო. ის ოსტატურად ახასიათებს ცხოველთა „ფსიქოლოგიას“ და ამით იწვევს მკითხველის ინტერესს მოთხრობების პერსონაჟების ბედ-იღბლის შესახებ. მოთხრობა „შინაური მტრედის - არნოს - ამბავი“ გადმოგვცემს ამბავს მტრედების შესახებ. მოცემული სტატია მიზნად ისახავს, აღნიშნული მოთხრობისა და მისი თარგმანის განხილვას.

რუსეთში ერნესტ თომპსონის წიგნების თარგმნა 1901 წლიდან დაიწყო. მისი

მოთხრობების თარგმანიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მ. კ. ჩუკოვსკის თარგმანებს. სამწუხაროდ, „შინაური მტრედის - არნოს - ამბის“ უკრაინულენოვანი თარგმანი არ არსებობს. აღნიშნული მოთხრობის რუსულენოვანი თარგმანი 1901 წელს გახდა „გმირი ცხოველების“ ერთ-ერთი ნაწილი. ჩუკოვსკი რუსულენოვან თარგმანში ცდილობს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს ორიგინალი ენის თავისებურებები. რუსულენოვან ვარიანტში შენარჩუნებულია მოქმედებების თანამიმდევრობა და ორიგინალი მოთხრობის სტილისტური თავისებურებები. შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა ოსტატურად და ყველა დეტალის დაცვით თარგმანა მოთხრობა.

თარგმანის უმნიშვნელოვანესი მიზანია, მიაღწიოს ორიგინალის შესატყვისობას. ტექსტი შესაბამის დონეზე უნდა ითარგმნოს და შინაარსობრივად უცვლელი დარჩეს, თუმცა ენობრივი კონსტრუქციები შესაძლოა მეორე ენისათვის დამახასიათებელი ენობრივი

კონსტრუქციებით შეიცვალოს. მთარგმნელის ამოცანაა, თარგმნოს ტექსტი ორიგინალი ტექსტის შესატყვისად, გამოიყენოს თარგმნის ტექნიკები და არ შეცვალოს ტექსტის შინაარსი, თარგმნის დროს დაიცვას ენობრივი ნორმები და სიფრთხილით გამოიყენოს იმ ენის თავისებურებები, რომელ ენაზეც სრულდება თარგმანი.

თარგმნის ტექნიკებიდან ერთ-ერთი საბაზისოა ტრანსფორმაცია. ტრანსფორმაციის დროს იცვლება ენის ფორმალური (ლექსიკური და გრამატიკული ტრანსფორმაციები) და სემანტიკური (სემანტიკური ტრანსფორმაციები) კომპონენტები, თუმცა ინახება ინფორმაცია, რომელიც ტრანსფორმაციისათვის მნიშვნელოვანია.

მოთხრობის „შინაური მტრედის არნოს ამბის“ შედარება მის ორიგინალ ვერსიასთან გვაჩვენებს, რომ ჩუკოვსკი თარგმნის დროს ხშირად იყენებს ტრანსფორმაციის ტექნიკებს.

ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი სახეობა, რომელსაც მთარგმნელი ფართოდ

იყენებს თარგმნის დროს, არის გრამატიკული ტრანსფორმაცია. გრამატიკული ტრანსფორმაციის დროს წინადადების წყობა ორიგინალი ენის წინადადების წყობის ადეკვატურია.

მთარგმნელი ხშირად იყენებს წინადადების დანაწევრების ტექნიკას, სადაც ორიგინალი ენის წინადადების სინტაქსური სტრუქტურა სათარგმნ ენაზე ორი პრედიკატული ტიპის წინადადებად გარდაიქმნება: «The mild smell of the well-kept stalls was lost in the sweet odor of hay, as we mounted a ladder and entered the long garret» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 73) («Слабый запах чисто содержимых денников терялся в нежном аромате сена. Поднявшись по лестнице, мы очутились на длинном чердаке») (არნო, 2014). ჩუკოვსკი თავს არიდებს წინადადებების ინფორმაციულ გადატვირთვას, თუმცა, ამავედროულად, ხაზს უსვამს ნარატივის თითოეულ კომპონენტს: «There is no creature with finer sense of locality and direction than a good Homer, and the only visible proofs of it are the great bulge on each side of the head over the ears, and the superb wings» (სეტონ-თომპსონი, 1901, 75) («Нет на свете существа,

обладающего более тонким чувством направления, чем исправный возвратный голубь. Такого голубя всегда можно узнать по большим выпуклостям над ушами и по мощным крыльям») (არნო, 2014).

აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ რთული ქვეწყობილი წინადადება თარგმანში შეცვლილია ორი მარტივი წინადადებით, რაც მკითხველს ტექსტის დეტალებზე ყურადღების გამახვილებას უადვილებს. თუმცა, საპირისპირო შემთხვევასაც შეხვდებით თარგმანში, როდესაც ორი მარტივი წინადადება გარდაქმნილია ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებად: «One day a carriage drove up to the stable; a white-haired gentleman got out, climbed the dusty stairs, and sat all morning in the loft with Billy. Peering from his gold-rimmed glasses, first at a lot of papers, next across the roofs of the city, waiting, watching, for what?» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 87) («Однажды к конюшне подкатила карета; из нее вышел седоволосый господин, вскарабкался по пыльной лестнице на голубятню и все утро просидел вместе с Билли, поглядывая сквозь золотые очки то на кучу бумаг, то поверх

городских крыш, высматривая и дожидаясь — чего?» (არნო, 2014).

განხილულ წინადადებებს შორის ისეთი მჭიდრო კავშირია, თითქოსდა ფორმალური ერთიანობა რუსულენოვან ვარიანტში დიქტირებული ყოფილიყოს. უფრო მეტიც, ენობრივი ელემენტები შეცვლილია რუსული ენის სინტაქსის მიხედვით, მაგალითად, როდესაც ქვეწყობილი წინადადების დაქვემდებარებული ნაწილი წინადადების პირველ ნაწილშია მოთავსებული: «That month he made two new records. He brought a message ten miles in eight minutes, and he came from Boston in four hours» (სეტონ-თომპსონი, 1901, 93) («В этот месяц он установил два новых рекорда: он принес письмо за десять миль в восемь минут и перелетел из Бостона в Нью-Йорк за четыре часа» (არნო, 2014)).

წინადადების ამგვარი კომბინაცია და ორ ენაზე თარგმანს შორის ურთიერთკავშირი მისაღებია. მთარგმნელი ორიგინალი ნაწარმოებიდან შინაარსის გადმოსაცემად ასევე იყენებს გრამატიკულ ტრანსფორმაციებს: «I shall

never forget *the sensations* of that day» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 76) («Никогда не забуду, что я *пережил* в этот день» (არნო, 2014)); «Some *were weak...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 77). («Некото-рые *ослабели...*» (არნო, 2014)); «...when with *whistle of wings...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, 88) («...*свистя крыльями...*» (არნო, 2014)); «...a class of miscreants who *think...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, 88) («...немало негодяев, *считающих...*» (არნო, 2014)).

მაგალითად სახელი «the sensations» რუსულ თარგმანში შეცვლილია ზმნით «пережил», ქვემდებარე შემასმენლის შეთანხმება «were weak» შეცვლილია ქვემდებარით «ослабели», სახელი «whistle» ზმნით- «остыла», ხოლო ზმნა «think» ზმნის მიმდევობის ფორმით «считающих».

ორიგინალი ტექსტის ნათარგმნ ტექსტთან შედარებისას თვალსაჩინოა, რომ გრამატიკული ტრანსფორმაციები იწვევს წინადადების წევრების ცვალებადობასაც: «...from the nest where *he was hatched...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ.

78) («...потому что он родился в угловом гнезде...» (არნო, 2014); «*The distance from home, of the start, was "jumped"...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, 79) («*Расстояние с каждым днем увеличивалось...*» (არნო, 2014)); «... *he was thrown into the air ...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 82) («*Старбек взвился в воздух...*» (არნო, 2014)); «...*the wonderful speed was diminished...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, 103) («...*чудесная скорость теперь уменьшалась...*» (არნო, 2014)).

მოცემულ მაგალითში ინგლისური ვნებითი გვარი რუსულენოვან ვარიანტში იცვლება მოქმედებითი გვარით. ასევე ინგლისური ენის ქვემდებარე რუსულენოვან ვარიანტში შეესაბამება დამატებას, ხოლო სიტყვა, რომელიც ინგლისურ ენაში შეესატყვისება დამატებას, რუსულ თარგმანში წარმოადგენს ქვემდებარეს.

წინადადებები «*We passed through the side door of a big stable*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 73), «*The fast express was steaming down the valley*» (არნო, 2014). ნათარგმნია ადგილის გარემოებების გამოყენებით. რუსულ ვარიანტში

აღნიშნული ადგილის გარემოებები წინადადების დასაწყისში გვხვდება: «*Через боковую дверь мы вошли в конюшню*», «*Внизу, в долине, дымил курьерский поезд*».

მსგავსი ცვილილებები გამოწვეულია ინგლისური და რუსული ენების სიტყვათწყობის განსხვავებულობითა და წინადადებების აღქმის თავისებურებებით. მაგალითად, რუსულ ენაში ინფორმაციულად მნიშვნელოვანი კომპონენტები წინადადების ბოლოში დგანან. ინგლისურ ენაში კი საკითხი შეიძლება გამოხატული იყოს სხავდასხვა ენობრივი საშუალებით, ისე რომ წინადადებაში მისი ადგილი აუცილებლობით არი იყოს განსაზღვრული. ხშირად ენის სტრუქტურულ დამოუკიდებლობას სირთულეებამდე მივყავართ. მთარგმნელის ამოცანაა, ორიგინალი ტექსტის შინაარსის შეუცვლელად გადმოტანა მეორე ენაზე ისე, რომ მეორე ენის სტრუქტურა არ დაირღვეს. სიტყვა კი, როგორც ლექსიკური ერთეული, ენობრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა კი უნიკა-

ლურია თითოეული ენისათვის. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ლექსიკური სისტემის შენარჩუნება ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის დროს. სწორედ ამიტომ, მთარგმნელი იყენებს ლექსიკურ ტრანსფორმაციებს. თარგმნის დროს ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც იმ ენაში, რომელზედაც სრულდება თარგმანი ლექსიკური ერთეულები უფრო კონკრეტულია, ვიდრე იგივე ლექსიკური ერთეულები ინგლისურში. აქედან გამომდინარე, თარგმნის პროცესში ფართოდ გამოიყენება დაკონკრეტების მეთოდი. დაკონკრეტების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ლექსიკურ ერთეულს ორიგინალ ენაში ფართო მნიშვნელობა გააჩნია, ის სათარგმნ ენაში გადატანილია ერთი კონკრეტული, კონტექსტისათვის შესატყვისი მნიშვნელობით: «This was the *home* of a famous lot of birds...» (სეტონ-თომპსონი,1901, გვ. 73) (« В этой голубятне жили знаменитые птицы...» (არნო, 2014)); « A moment later he *had* the roll in his hand ...» (სეტონ-

თომპსონი,1901, გვ. 73) (« Через минуту он *держал* в руке записку ...» (არნო, 2014)).

მთარგმნელმა სწორად შეარჩია მნიშვნელობა სიტყვებისა: «was», «home» and «have», ვინაიდან მოცემულ სიტუაციაში აუცილებელია სათქმელის უფრო კონკრეტულად გამოხატვა და მთარგმნელი მათ შემდეგი სიტყვების გამოყენებით გამოხატავს: «жить», «голубятня» ნაცვლად მისი ნეიტრალური მნიშვნელობისა- «быть», «дом» and «иметь».

დაკონკრეტების კიდევ ერთი მაგალითია ზმნის «to go»-ს გამოყენება, რომელიც შეცვლილია მთარგმნელის მიერ, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად: «High in the valleys he *went*...» (სეტონ-თომპსონი,1901, გვ. 100) «Высоко над долинами он *летел* ...» (არნო, 2014); «These Pigeons *are not* of any special color ...» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ.75) «Эти голуби *не отличаются* особой окраской...» (არნო, 2014)).

სიტყვის «be» შეცვლა კონტექსტუალურად უფრო კონკრეტული სიტყვით

«color» ამ შემთხვევაში გამართლებულია, ვინაიდან ის შეესაბამება კონტექსტს და ზოგადად ნარატივის განწყობას.

დაკონკრეტების საპირისპიროა განზოგადება. ვინაიდან ინგლისურ სიტყვებს უფრო აბსტრაქტული მბიშვნელობა გააჩნიათ, ვიდრე რუსულ სიტყვებს, ჩვენ განზოგადების მეთოდს თარგმნის დროს ნაკლებად ვიყენებთ, თუმცა მისი სრულებით უგულებელყოფაც არ ხდება: «fifty birds *dwindled to twenty...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 79) («Из пятидесяти птиц *осталось* всего двадцать...») (არნო, 2014); «They *wore* no uniform...» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 79); «У них *не было* определенной масти...» (არნო, 2014). მთარგმნელი ახდენს ცნებების «dwindle to» და «wear» განზოგადებას და თარგმნის უფრო ზოგადი სიტყვებით «оставаться» და «быть». ეს მკითხველს ტექსტის აღქმაში ეხმარება, ისევე როგორც განზოგადება შემდეგ წინადადებაში «They wore no uniform». სიტყვა «uniform» ითარგმნება უფრო კონკრეტული მნისვნელობის მექონე სიტყვით «масть».

ორიგინალი ტექსტის განწყობის გამოსახატავად ჩუკოვსკი იყენებს ანტონიმურ თარგმანსაც: «He had *not much* to distinguish him when at rest...» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 79) («Он *мало* отличался от других...») (არნო, 2014); «Many a noble Homer, speeding with a life or death message...» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 88) («*He один* благородный гонец, летевший с вестью о жизни или смерти...») (არნო, 2014); «At first Arnaux *did nothing* all day but walk...» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 96) «Сперва Арно *только и делал*, что шагал по целым дням...» (არნო, 2014); «A dark stain appeared on his bosom, but Arnaux *kept on...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 103) «На груди расплылось темное пятно, но Арно *не сдавался...*» (არნო, 2014).

მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ მეთოდის გამოყენებით, მთარგმნელმა შეძლო ორიგინალი ტექსტის არსისა და სტილისტური თავისებურების შენარჩუნება ნათარგმნ ტექსტში. როდესაც ინგლისურიდან სიტყვასიტყვით ვთარგმნით, რომელიც ითხოვს გრამატიკულად სწორი წინადადებებით აზრის გამოხატვას,

ხშირად ასეთი წინადადებები არ არის იმ ენისათვის ნიშანდობლივი, რომელ ენაზეც ხდება თარგმანი. ამ დროს მთარგმნელს შეუძლია გამოიყენოს მოდულაციის (სემნატიკური განვითარების) ხერხი. მოდულაციის ხერხის გამოყენების დროს იცვლება სიტყვათა კომბინაციები და ლექსიკური ერთეულები, ხდება კონტექსტური თარგმანი, თუმცა ნარჩუნდება ტექსტის არსი: «The old man turned deathly pale, fumbled it open, then *his color came back...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 88) «Старик смертельно побледнел, с трудом развернул ее, и лицо его оживилось...» (არნო, 2014); «His beak and feet were small, *as became his blood...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 93) («Клюв и ноги его были малы, как у всякого хорошего почтового голу-бя...» (არნო, 2014).

წინადადებები «his color came back» და «as became his blood» ვერ გადაითარგმნება რუსულ ენაზე მოცემული ინგლისური სიტყვების აბსოლუტური ექვივალენტების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შეიცვალოს მათი მნიშვნელობა კონტექსტურად ახლოს მდგომი მნიშვნელობით. ეს ტექსტს მკითხვე-

ლისათვის უფრო გასაგებს გახდის. ამიტომ, ჩუკოვსკი იყენებს გამოთქმებს, სიტყვებს, რომელიც გადმოსცემს ინგლისური ტექსტის არსს და არა ზუსტ თარგმანს.

თარგმნის პროცესში შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას დამატებითი ლექსიკური ტრანსფორმაციები: «You hardly see them till *they're in...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 76) («Едва успеешь их заметить, как *они уже влетят в голубятню...*» (არნო, 2014)); «The *flash of white, the rush of pinions...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 76), («*Появление белого облачка, шелест крыльев...*» (არნო, 2014) .

ასევე შესაძლოა შეგვხვდეს სიტყვების გამოტოვებები: «The hardest of all *work is over the sea*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 81) («*Труднее всего перелететь через море...*» (არნო, 2014)); «Although there *were plenty of witnesses...*» (სეტონ-თომპსონი, 1901, გვ. 75) («Несмотря на множество свидетелей» - (არნო, 2014).

სტატიაში ჩვენ გავაანალიზეთ ერნესტ სეტონ თომპსონის მოთხრობა „შინაური მტრედის არნოს ამბავი“ მის რუსულენოვან თარგმანთან შედარების

საფუძველზე. ანალიზმა გვაჩვენა, რომ რუსულენოვან თარგმანში ჩუკოვსკი არ იყენებს ზედმეტ დეტალებს ორიგინალი ტექსტის თარგმნის პროცესში, რაც განაპირობებს ტექსტის ავტორის ენობრივი სტილის შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ განხილული განსხვავებები ნათარგმნ და ორიგინალ

ტექსტს შორის გავლენას არ ახდენს ტექსტის ზოგად აღქმაზე. გამომდინარე აქედან, შესაძლოა მსგავს თარგმანებს ავთენტური თარგმანი ვუწოდოთ, ვინაიდან ორიგინალი ტექსტის შინაარსი და სტილი, ისე როგორც ავტორისეული ხედვა რუსულენოვან თარგმანში ოსტატურადაა გადმოცემული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაჩეილაძე, 1965 - Гачечиладзе Г. Реалистический перевод и задачи его теории (Вводная лекция к курсу истории и теории художественного перевода) / Г. Гачечиладзе //Мастерство перевода. – М.: Советский писатель, 1965. – С. 241–251.
- რებრი, 2012 - Ребрій О.В. Сучасні концепції творчості у перекладі: (монографія) (Текст) /О. В. Ребрій. – Х.: ХНУ імені В. Н. Каразіна, 2012. – 376 с.
- კოპტილოვი, 1972 - Коптілов В. Першотвір і переклад (Роздуми і спостереження) (Текст) / В. Коптілов. – Київ: Дніпро, 1972. – 215 с.
- ნოვიკოვა, 1982 - Новикова М. Перекладач і класика (про форми і межі перекладацької інтерпретації) (Текст) / М. Новикова // «Хай слово мовлено інакше...»: статті з теорії, критики та історії худож. перекладу/(упоряд.В. Коптілов). – Київ, Дніпро, 1982.– С. 40–5.
- სუხენკო, 2002 - Сухенко И.Н. Национальные варианты канадского анималистического рассказа конца XIX – начала XX вв.//Дніпропетровський університет. Вісник. Літературознавство. Журналістика. — Дніпропетровськ: ДГУ, 2002. — Вип. 5. — С. სეტონ-თომპსონი,1901-წლის,20141.
- ჰამილი, 2007 - Faye Hammill. Canadian Literature. Edinburgh: Edinburgh University Press, 2007. – 220 p.
- კანადის დიმენსია.... 1977 - The Canadian Imagination Dimensions of a Literary Culture. Cambridge:Harvard University Press, 1977. —265 p.
- კოროტიოზი, 1980 - Коротич В. Голоса Канады: Путевые заметки// Иностранная литература. — 1980.— №8. — С. 212-223.
- საბავშვო ლიტერატურა, 1982 - Зарубежная детская литература: Учебник для институтов культуры (Текст)/ Сост. И.С. Чернявская. — 2-е изд. — М.: Просвещение, 1982. – 559 с.
- სეტონი, 1901 - Ernest Seton-Thompson. Animal Heroes. New-York: The Century Co, 1901. – 345 p.